

სკოპინგის დასკვნა N43

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „რუსელოისი“ (ს/კ 404504327);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. თერჯოლა;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 12.06.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ელსჰაუსი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „რუსელოისმა“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ქ. თერჯოლაში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის განცხადება.

2008 წლის 24 ნოემბერს შპს „ა.დ.ვ.-ტოგოს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გაიცა N38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N00139 (ბრძანება N759). 2014 წლის 17 ივნისს შპს „ა.დ.ვ.-ტოგოზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „რუსმეტალს“ (ბრძანება N 000075), ხოლო 2016 წლის 3 თებერვალს აღნიშნული ნებართვა შპს „რუსმეტალისგან“ გადაეცა შპს „რუსელოისს“. 2020 წლის 26 ნოემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-1095). 2023 წლის 20 მარტს ქ. თერჯოლაში, შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N 128/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2023 წლის 15 მარტს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁶ და 79⁷ მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N077297 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო მდებარეობს ქ. თერჯოლაში, „რუსელოისის“ საკუთრებაში არსებულ 12 719 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 33.09.43.669). საწარმოს

ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან (300 მეტრში) ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო (ს-1) გზა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 530 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ჩოლაბური) საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 130 მეტრით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „რუსელოისის“ საქმიანობას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გადამამუშავება, რაც გულისხმობს მანგანუმის დაჟანგული და მცირე დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული მეთოდით გამდიდრებას. **საწარმოში წლიურად გადამამუშავდება 40 800 ტ ნედლეული**, საიდანაც მიიღება **20 000 ტ გამდიდრებული მადანი**. სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ხაზის **წარმადობაა 17 ტ/სთ**, საიდანაც მიიღება **8,3 ტ/სთ** გამდიდრებული მადანი დაახლოებით 32%-ი მანგანუმის შემცველობით. საწარმო მუშაობს 300 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოში **20 000 ტ გამდიდრებული მადნიდან წლიურად მოსალოდნელია 14 000 ტონა ნარჩენის სახით კუდების და შლამების წარმოქმნა**, საიდანაც სასარგებლო პროდუქციის რაოდენობამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით **7 000 ტონას**.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ხაზი მოიცავს შემდეგ დანადგარებს: ლენტურ ტრანსპორტიორს , ვიბრაციულ ცხავს (ცხრილს)), სამტვრეველას, ჯამებიან ელევატორს (2 ერთეული), სპირალურ კლასიფიკატორს, სალექ მანქანას, წყლის ტუმბოს და მკვებავ ბუნკერს. საწარმოში ასევე განთავსებულია ოთხსაფეხურიანი სალექარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის მიღება ხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგრის მიმდებარედ არსებული მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან, რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 18 კილომეტრში. კარიერიდან ნედლეულის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე ხდება ავტოთვითმცლელელების საშუალებით. ნედლეული დროებით თავსდება მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, საიდანაც პერიოდულად ჩაიტვირთება მიმდებ ბუნკერში და ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბრაციულ ცხავს. აღნიშნულ დანადგარში წარიმართება დახარისხების პროცესი და წარმოქმნილი 8 მმ-ზე მცირე ზომის ფრაქციები გადაიტვირთება სპირალურ კლასიფიკატორში, ხოლო ცხავზე დარჩენილი ნაწილი (8 მმ და მეტი ფრაქციის) მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს, სადაც ხდება მადნის დაქუცმაცება 8 მმ-ზე ნაკლებ ფრაქციებამდე, რის შემდეგაც დაქუცმაცებული მადანი კვლავ დაბრუნდება ვიბრაციულ ცხავში და გადაიტვირთება სპირალურ კლასიფიკატორში, რომელიც უზრუნველყოფს მადნის გაწყლოვანებას. კლასიფიკატორიდან გაწყლოვანებული მასა გადავა სალექ დანადგარში, სადაც მოხდება მანგანუმის კონცენტრატისა და კუდების ერთმანეთისგან გაყოფა. მანგანუმის კონცენტრატი ჩაიტვირთება მზა პროდუქციის ბუნკერში, ხოლო კუდები - მეორე სპირალურ კლასიფიკატორში, სადაც მოხდება კუდების გაუწყლოების პროცესი. გაუწყლოების დროს

შლამიანი წყალი მილის მეშვეობით ჩაედინება სალექარში, ხოლო დარჩენილი მსხვილი მასა (კუდები) - კუდსაცავში. შლამის მიმღები ტბორიდან დალექილი გაუწყლოებული შლამი გადაიტანება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შლამსაცავზე (ფართობი - 500 მ²)

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. სამეურნეო დანიშნულებით ობიექტის წყალმომარაგება ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული შახტური ჭიდან (GPS კოორდინატები: X- 330200, Y-4669365). სასმელი წყლის შემოტანა ხორციელდება ბუტილირებული სახით, ტექნიკური დანიშნულებით წყლის აღება ხორციელდება მდ. ჩოლაბურიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-330084, Y-4669405.) ტუმბოს საშუალებით (წარმადობა 60 მ³/სთ). საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკური წყლის ხარჯი, სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, შეადგენს **79 680 მ³-ს.**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში მადნის გაწყლოვანებისთვის წყლის გამოყენება გათვალისწინებული იყო ტექნიკური წყლების შემკრები რეზერვუარიდან (ტბორიდან) მიწოდებული წყლით, რომელიც სალექარში გავლის შემდეგ, კვლავ უზრუნველბოდა ტბორს, კვლავ გამოყენების მიზნით (ე.წ ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოში მადნის გაწყლოვანებისთვის წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. ჩოლაბურიდან, ხოლო გამოყენებული წყალი, სალექარში გავლის შემდეგ, ღია არხის (200 მ სიგრძით) საშუალებით ჩაედინება მდ. ჩოლაბურში (წყალჩაშვების GPS კოორდინატები X-330067, Y-4669435). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ასევე დაგეგმილია N38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობის ცვლილება. კერძოდ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პუნქტის მიხედვით, გათვალისწინებული იყო კარიერთან ახლოს მადნით დატვირთული მანქანების გასარეცხი დანადგარის მოწყობა გამწმენდთან ერთად, რომელიც გამორიცხავდა კარიერიდან ტრანსპორტით ამოტანილი მადნიანი ტალახის მტვრის სახით გაფანტვას გარემოში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე აღარ განხორციელდება კარიერიდან შემოსული, ნედლეულით დატვირთული და ასევე პროდუქციის გადატანისთვის განკუთვნილი ავტომობილების მარის რეცხვა. ავტოსატრანსპორტო საშუალების მარაზე დაგებული იქნება სითხეგაუმტარი გეომემბრანა, რომელიც უზრუნველყოფს მანქანის მარაზე შლამების შეკრებას.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყო ოთხსაფეხურიანი ჰორიზონტალური სალექარი (ჯამური მოცულობით 700 მ³), სადაც ხდება ტექნოლოგიურ მოედანზე არსებული სადრენაჟე და სანიაღვრე არხების საშუალებით შლამიანი წყლების ჩადინება. ჯამურად სალექარში ჩაშვებული წყლის მოცულობა წლის განმავლობაში იქნება 64348,5 მ³. სალექარის პირველ და მეორე სექციებში მოხდება მსხვილი ზომის შეწონილი ნივთიერებების დალექვა, ხოლო მესამე და მეოთხე სექციები უზრუნველყოფს წყლის მცირე ზომის ნაწილაკებისგან გაწმენდას. სალექარიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყალი, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი ღია არხით (200 მ სიგრძით), ჩაედინება მდ. ჩოლაბურში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით,

სალექარში დაგროვილი შლამის რაოდენობა წელიწადში არ აღემატება 12 000 ტ-ს. სალექარის სექციებიდან შლამის ამოღება მოხდება საჭიროების მიხედვით (წელიწადში 3-ჯერ) ექსკავატორის მეშვეობით და დროებით განთავსდება სალექარის მიმდებარედ 20 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში (მანგანუმის გამდიდრება სველი მეთოდით) ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მანგანუმის ოქსიდები და არაორგანული მტვერი. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მასშტაბი არ იცვლება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირებისას ობიექტიდან უახლოეს მოსახლემდე გავრცელებული ხმაურის დონე არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ხმაურის დონეების გაზრდა გათვალისწინებული არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სხვადასხვა სახის ნარჩენები. არასახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში, რომელთა გატანა ხორციელდება პერიოდულად, მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები, რომელიც წარმოიქმნება საწარმოში მანგანუმის მადნის გამდიდრების შედეგად, კუდების და შლამების სახით (14 000 ტ), დროებით თავსდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე. აღნიშნული შლამის რეალიზება ხდება კერძო პირებზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი პერიოდულად გადაიზიდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძეგრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის მადნის კარიერის ტერიტორიაზე გამომუშავებულ ფართობზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. ობიექტი განთავსებულია სამრეწველო ზონაში, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა გაზეთში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. დაგეგმილი საქმიანობის

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 5 ივლისს, ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საკონსულტაციო კომპანია შპს „ელჰაუსის“, განმახორციელებელი კომპანია შპს „რუსელოისის“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - საწარმოში მიმდინარე საქმიანობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების დეტალური აღწერა, ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) მიღებიდან დღემდე საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ობიექტების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
 - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);

- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- ინფორმაცია ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობების მითითებით);
- საწარმოს საქმიანობის **(არსებული, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში და გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული საქმიანობების მითითებით)** დეტალური, მკაფიო და თანმიმდევრული აღწერა (ნედლეულის მიღებიდან, მის გადამუშავებამდე, ნარჩენი პროდუქციის მართვისა და განთავსების პირობების ჩათვლით, გზშ-ის ანგარიშით, არსებული და საპროექტო წარმადობების მითითებით და ერთმანეთთან შედარებით), ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე **საწარმოში მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია** გენ-გეგმაზე დატანით (წარმოდგენილი უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ობიექტების გენ. გეგმები). გენ-გეგმებზე დატანილი უნდა იყოს დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტექნოლოგიური უბნები, მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროები;
- საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობის, ასევე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით და ერთმანეთთან შედარებით) დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა და ტექნოლოგიური ციკლი, სქემატური ნახაზების მითითებით და შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის გათვალისწინებით), მათ შორის ინფორმაცია

არსებული/ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული წარმადობების (საათური, დღიური, წლიური) და სამუშაო რეჟიმის შესახებ;

- დეტალური ინფორმაცია საწარმოში წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის (ტიპისა და რაოდენობის მითითებით) შესახებ (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის გათვალისწინებით);
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილებისა და პირობების შესახებ (გზშ-ის ანგარიშის, არსებული მდგომარეობის და დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით);
- ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ, ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის პროცედურების შესახებ (გეგმა-გრაფიკის მითითებით), შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ასევე ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ამტვერების შემთხვევაში გზის საფარის მორწყვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა და სხვ);
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების (მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური/საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის შესახებ ინფორმაცია) შესახებ. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებისა, საწარმომდე მიწოდებისთვის განკუთვნილი ტუმბოების და მილსადენის პარამეტრების მითითებით. მილსადენის დერეფანი ასახული უნდა იქნეს shp ფაილებზე და სქემატურ ნახაზებზე.
- წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, საწარმოში აღებული და მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

5.1 შლამსაცავის/კუსდაცავის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, კერძოდ:

- მანგანუმის მადნის გამდიდრების პროცესში წარმოქმნილი შლამის და კუდების რაოდენობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, ასევე შლამსაცავის პარამეტრების, მაქსიმალური ტევადობის (ფართობების გათვალისწინებით), ადგილისა და პირობების მითითებით, ასევე აღნიშნული ობიექტები ასახული უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმაზე;
- დეტალური ინფორმაცია შლამსაცავიდან ნაჟური წყლების ხარისხის, შეკრებისა და შემდგომი მართვის შესახებ, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სალექარში წარმოქმნილი შლამის მართვის შესახებ. მათ შორის ინფორმაცია: წარმოქმნილი შლამის რაოდენობის, შლამისგან სალექარის გაწმენდის პერიოდულობის, დროებითი დასაწყობების ტერიტორიის, დასაწყობების პირობების, გაუწყლოების და საბოლოო მართვის ღონისძიებების შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია შლამის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევების შესახებ;
- შლამსაცავის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების გამოყენების საჭიროების შესახებ ინფორმაცია, მოწყობილობების აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, მათ შორის: მოცემული უნდა იყოს მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაზნევის ანგარიში და სხვა. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.
- ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე. ამასთან, დამაბინძურებელი ნივთიერებების ავარიული დაღვრის შემთხვევაში ღრმა ფენებში გავრცელებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე და მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.
- გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;

- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსის საზღვრებში) არსებული და დაგეგმილი ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს სატრანსპორტო ოპერაციებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საწარმოში აღარ ხდება მადნის გაწყლოვანება ე.წ ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემით და ექსპლუატაციის პირობების ფარგლებში, საწარმოში მადნის გაწყლოვანებისთვის წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. ჩოლაბურიდან, ხოლო გამოყენებული წყალი, სალექარში გავლის შემდეგ, ღია არხის (200 მ სიგრძით) საშუალებით ჩაედინება მდ. ჩოლაბურში. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ცვლილების განხორციელების აუცილებლობა და მისი გარემოსდაცვითი კუთხით უპირატესობის დასაბუთება,

ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ გარემოსდაცვითი კუთხით, სათანადოდ არ იქნება დასაბუთებული ზემოაღნიშნული ცვლილების უპირატესობა, საწარმოში უნდა მოხდეს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გამოყენება;

- დოკუმენტში მითითებულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია საწარმოს წლიური წარმადობის შესახებ, კერძოდ, გვ. 15 მითითებულია, რომ “საწარმოს წლიური მწარმოებლურობაა 20 000 ტ მადანი წელიწადში და 8,3 ტ/სთ-ში”, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს 1 ტონა მანგანუმის შემცველი გამამდიდრებელი მადნის მისაღებად, საჭიროა მანგანუმის მადნის 2 ტონა ნედლეული 22- 24% -იანი მანგანუმის შემცველობით, გვ. 32-ზე მითითებულია, რომ საწარმოს გადასამუშავებლად ესაჭიროება 40 800 ტონა ნედლეული, ხოლო საწარმოს წარმადობა შეადგენს 17 ტ/სთ, ასევე აღსანიშნავია, რომ 2008 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში გადასამუშავებლად მიღებული ნედლეულის რაოდენობა შეადგენდა 20 000 ტონას, ხოლო სკოპინგის ანგარიშში მითითებულია 40 800 ტონა. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს წლიური წარმადობა, კერძოდ: მითითებული უნდა იყოს საწარმოში გადასამუშავებლად მიღებული ნედლეულისა და მისგან მიღებული პროდუქციის რაოდენობები, ასევე დაზუსტებული უნდა იყოს ნედლეულის გადამუშავების პროცესში წარმოქმნილი შლამების და კუდების რაოდენობები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხები) სრულყოფილი ინფორმაცია. ამავდროულად სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდ სალექარში დაგროვილი შლამი, რომელიც წლიურად წარმოადგენს 12 000 ტონას, კომპანიის მიერ სრულად განხილულია როგორც პროდუქცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და კომპანიის საქმიანობის პროცესიდან გამომდინარე, შლამი საჭიროებს კლასიფიკაციის ნაწილში დაზუსტებას და წარმოდგენას ობიექტზე წარმოქმნილ ნარჩენებთან ერთად. ასევე, დასაზუსტებელია მისი მოსახლეობის მიერ გამოყენების საკითხი. გზშ-ის ანგარიშში ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იქნეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად;
- მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე აღარ განხორციელდება კარიერიდან შემოსული, ნედლეულით დატვირთული და ასევე პროდუქციის გადატანისთვის განკუთვნილი ავტომობილების ძარის რეცხვა. ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარაზე დაგებული იქნება სითხეგაუმტარი გეომემბრანა, რომელიც უზრუნველყოფს მანქანის ძარაზე შლამების შეკრებას. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ცვლილების საჭიროების დასაბუთება და მისი უპირატესობა გარემოსდაცვითი კუთხით;

- გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს შლამის შესახებ ინფორმაცია და მისი მართვის საკითხები, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტში სალექარში დაგროვილი გაუწყლოებული მასალა მოხსენიებულია შლამის და ლამის სახით. დაზუსტებას საჭიროებს კუდების და შლამების ტერმინები, ასევე კუდსაცავის/შლამსაცავის შესახებ ინფორმაცია, მათი დანიშნულება და ფართობები;
- წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სალექარის სექციებიდან ამოღებული შლამი დროებით განთავსდება სალექარის მიმდებარედ 20 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე, ასევე დოკუმენტში მითითებულია რომ შლამი განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ 500 მ² ფართობის მქონე შლამსაცავზე, შესაბამისად აღნიშნული საკითხი გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ მდ. ჩოლაბურში სალექარში გაწმენდილი წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია 200 მ სიგრძის ღია არხის საშუალებით. აღნიშნული არხის დერეფანი ასახული უნდა იქნეს shp ფაილებზე და სქემატურ ნახაზებზე, ასევე დაზუსტებული უნდა იყოს მდ. ჩოლაბურში წყლის ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი შლამის შესახებ (ნარჩენის კოდი, დასახელება, შემდგომი მართვა), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილებების შესაბამისად. ასევე გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა, რადგან გვ.14 მითითებულია რომ “ნარჩენის სახით (კუდები, შლამები) წარმოიქმნება დაახლოებით 14 000 ტონა”, ხოლო გვ.32 მითითებულია “საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, საწარმოს ტექნოლოგიის გათვალისწინებით, ადგილი ექნება საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდ სალექარში დაგროვილი ლამის წარმოქმნას - წელიწადში 12 000 ტ-ს”.
- წარმოდგენილი უნდა იყოს კარიერის ტერიტორიაზე შლამის განთავსების პირობები და მიზანშეწონილობის დასაბუთება, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმირების შესახებ ინფორმაცია და საჭიროებს შემთხვევაში, შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე და ზედაპირული წყლის ობიექტამდე მანძილები, კერძოდ: ანგარიშის მიხედვით, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 1000 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩოლაბური - 800 მეტრით. shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 530 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ჩოლაბური) საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 130 მეტრით;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ოთხსაფეხურიანი სალექარი, თუმცა დოკუმენტში ასევე ნახსენებია „გამწმენდი ნაგებობები“ და „შლამის მიმღები ტბორი“, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოს გათვალისწინებული სიმძლავრის მიხედვით საწარმოს წლიური მწარმოებლურობაა 20 000 ტ. მადანი წელიწადში (8,3 ტ/სთ). ერთი ტონა მადნის მოსარეცხად საჭიროა 4 მ³ წყალი, რაც 8 საათიანი დროის განმავლობაში შეადგენს 265,6 მ³-ს, ხოლო წელიწადში - 79 680 მ³-ს“. გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გამოსაყენებელი ტექნიკური წყლის რაოდენობა, რადგან სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წლის განმავლობაში გადამუშავდება 40 800 ტ მადანი;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ობიექტის სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება ხდება ჭაბურღილიდან. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული ჭაბურღილის ლიცენზიასთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ცხრილის სახით);
- საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აისახოს 2020 წლის 26 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-1095) ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.
- სკოპინგის ანგარიშში სტრუქტურულად გაუმართავია, მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ტექნიკურ ხარვეზებს და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გზშ-ის ანგარიშის შედგენისას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „რუსელოისის“ მიერ, წარმოდგენილ საქმიანობაზე, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი

ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.